სახელმწიფო ენის გამოცდები

საგამოცდო ტესტების აღწერილობა (A1, A2, B1 და B2 დონეებისათვის) და ტესტური დავალებების ნიმუშები

2025 წლის დეკემბერში ჩატარდება სახელმწიფო ენის გამოცდები A და B დონეებისათვის. პირველი განსაზღვრავს ქართული ენის ფლობის A1 და A2 დონეებს, მეორე – B1 და B2 დონეებს. A1-A2 და B1-B2 დონეების დიფერენცირება მოხდება იმის მიხედვით, თუ რამდენ ქულას დააგროვებს გამოსაცდელი.

სახელმწიფო ენის გამოცდებით მოწმდება: ა) მოსმენის, ბ) კითხვის, გ) წერისა და დ) ლაპარაკის კომპეტენციები. საგამოცდო ტესტებში ეს კომპეტენციები შემდეგნაირად იქნება განაწილებული:

ენობრივი კომპეტენციები	A ტესტი	B ტესტი
მოსმენა	25%	25%
კითხვა	25%	25%
წერა	25%	25%
ლაპარაკი	25%	25%

სახელმწიფო ენის გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელი იქნება მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვა: A1 და B1 დონეებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს საგამოცდო ტესტების მაქსიმალური ქულის 40%-ზე მეტს, ხოლო A2 და B2 დონეებისათვის – 60%-ზე მეტს. გარდა ამისა, თითოეული ნაწილისათვის დადგენილია ე. წ. „შიდა ზღვრები“ (იხ. ცხრილი):

ენობრივი კომპეტენციები	A ტესტი (A1 - A2)		B ტესტი (B1 - B2)	
	A1 დონისათვის	A2 დონისათვის	B1 დონისათვის	B2 დონისათვის
მოსმენა	35%-ზე მეტი (9 ქულა და მეტი)	55%-ზე მეტი (14 ქულა და მეტი)	35%-ზე მეტი (9 ქულა და მეტი)	55%-ზე მეტი (14 ქულა და მეტი)
კითხვა	40%-ზე მეტი (11 ქულა და მეტი)	60%-ზე მეტი (16 ქულა და მეტი)	40%-ზე მეტი (11 ქულა და მეტი)	60%-ზე მეტი (16 ქულა და მეტი)
წერა	25%-ზე მეტი (7 ქულა და მეტი)	45%-ზე მეტი (12 ქულა და მეტი)	25%-ზე მეტი (7 ქულა და მეტი)	45%-ზე მეტი (12 ქულა და მეტი)
ლაპარაკი	25%-ზე მეტი (7 ქულა და მეტი)	45%-ზე მეტი (12 ქულა და მეტი)	25%-ზე მეტი (7 ქულა და მეტი)	45%-ზე მეტი (12 ქულა და მეტი)

სახელმწიფო ენის გამოცდები ჩატარდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. გამოცდების ხანგრძლივობა გარკვეული ინტერვალის ჩათვლით დაახლოებით 3 საათია. ტესტების მაქსიმალური ქულაა 100.

საგამოცდო ტესტები შედგება ოთხ-ოთხი ნაწილისაგან და თითოეულის მაქსიმალური ქულაა 25.

I. მოსმენის, II. კითხვისა და III. წერის ნაწილების საერთო ხანგრძლივობაა 2 საათი და 30 წუთი. მცირე შესვენების შემდეგ დაიწყება გამოცდის IV – ლაპარაკის – ნაწილი, რომელიც გაგრძელდება 20 წუთს.

საგამოცდო ტესტებს გამოსაცდელები მიიღებენ ელექტრონულად.

სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

გთავაზობთ ტესტური დავალებების რამდენიმე ნიმუშს შეფასების სქემებითა და კრიტერიუმებით:

A დონე

I. მოსმენა

ტექსტის მოსმენამდე წაიკითხეთ დავალება. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
გაარკვიეთ, მოცემული წინადადება შეესაბამება თუ არა ტექსტს *(სწორია* ან *არასწორია).* პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

დავალების გასაცნობად გეძლევათ 10 წამი. გაარკვიეთ, მოცემული წინადადება შეესაბამება თუ არა ტექსტს.

(1) **1.** მაყურებელმა თავისი ადგილი სპექტაკლის დაწყებამდე უნდა დაიკავოს.

ტექსტის მოსმენამდე წაიკითხეთ დავალება. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
უპასუხეთ კითხვას. პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

დავალების გასაცნობად გეძლევათ 10 წამი.

(1) **2.** რომელ საათზე აპირებენ თეა და რეზი ფილმის ნახვას?
ა) 3-ზე. ბ) 5-ზე. გ) 7-ზე.

II. კითხვა

წაიკითხეთ ტექსტი. გაარკვიეთ, მოცემული წინადადება შეესაბამება თუ არა ტექსტს *(სწორია* ან *არასწორია).* პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

აბრა პოლიკლინიკაში

- სისხლის ანალიზი
- ექოსკოპია
- კარდიოგრამა

სამუშაო საათები:
ორშაბათი – პარასკევი: 09:00 – 18:00
შაბათი: 10:00 – 12:00

(1) **3.** სისხლის ანალიზი კეთდება ყოველდღე კვირის გარდა.

წაიკითხეთ ტექსტი. გაარკვიეთ, მოცემული წინადადება შეესაბამება თუ არა ტექსტს *(სწორია* ან *არასწორია).* პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

აბონენტის საყურადღებოდ!
თქვენი საბონენტო გადახდილია 14 ოქტომბრის ჩათვლით. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შეგიწყდებათ გაზის მიწოდება. გმადლობთ, რომ აირჩიეთ ჩვენი კომპანია.

(1) **4.** თუ თანხას არ გადაიხდით, გაზის მიწოდება შეგიწყდებათ.

წაიკითხეთ ტექსტი. უპასუხეთ კითხვებს. პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

წაიკითხეთ წერილი:
მოგესალმები, დათო, როგორა ხარ? ვიცი, გაინტერესებს ჩვენი ამბები და მოკლედ მოგწერ. კარგად ვიმგზავრეთ და ვარშავაში მშვიდობიანად ჩავფრინდით. მალე ბარგიც ავიღეთ და ტაქსით წავედით ჩვენს ბინამდე. საკმაოდ ციოდა. დიდხანს მოვუნდით მისვლას, რადგან პიკის საათი იყო. ძალიან დავიღალეთ და ერთი სული გვქონდა, როდის მივიდოდით და დავისვენებდით.

ბინას ყოველთვის ლელა ჯავშნის ხოლმე. ამის დიდი გამოცდილება აქვს და ყველანი ვენდობით. ბინაში შესვლისას ლელას შევატყვეთ, რომ სახე შეეცვალა. მან ოთახები დაათვალიერა და გვითხრა: ეს არ არის ის ბინა, რომელიც მე დავჯავშნეო. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ მეპატრონეს სხვა სურათები ჰქონდა განთავსებული საიტზე, რეალურად კი სხვა ბინას აქირავებდა. ძალიან შევწუხდით ცალკე ამ ფაქტის, ცალკე – ლელას გამო, რადგან ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა... არადა, რა მისი ბრალი იყო. ვერაფერს ვიზამდით, ამდენი ბარგით სხვა ბინის ძებნას ხომ ვერ დავიწყებდით?

ადრე ასეთ სიტუაციაში არასდროს ვყოფილვართ. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო ბინის დაქირავებისას. მხოლოდ სანდო საიტებიდან უნდა იქირავო. ლელამ თქვა, აუცილებლად დავწერ გაქირავების საიტზე ამ შემთხვევის შესახებ, რომ სხვებიც არ მოტყუვდნენო.

ხუთი დღე ვიყავით ვარშავაში. ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ, ბევრი მუზეუმი დავათვალიერეთ, ვიმხიარულეთ და კარგი დროც გავატარეთ. თუმცა, ლელას ბოლომდე აწუხებდა ის, რაც ბინასთან დაკავშირებით შეგვემთხვა.

ორ დღეში ვბრუნდებით უკან. გამოგვიარე და ფოტოები ერთად დავათვალიეროთ.

დროებით, ნანა.

(1) **5. რატომ მივიდნენ მგზავრები ბინაში დაგვიანებით?**

ა) ბარგის დროულად აღება ვერ შეძლეს.
ბ) პიკის საათის გამო დიდხანს იყვნენ გზაში.
გ) ტაქსის გაჩერება ძალიან გაუჭირდათ.

(1) **6. რატომ განერვიულდა ლელა?**

ა) აეროპორტიდან ბინამდე დროულად ვერ მივიდნენ.
ბ) დაქირავებული ბინის პოვნა გაუჭირდათ.
გ) დაჯავშნილი ბინა რეალურად სხვა აღმოჩნდა.

(1) **7. რა გადაწყვიტა ლელამ?**

ა) გამქირავებელი ფირმისაგან სხვა ბინა მოეთხოვა.
ბ) ბინის მეპატრონისაგან თანხა დაებრუნებინა.
გ) მომხდარის შესახებ გაქირავების საიტზე დაეწერა.

(1) **8. როგორ აფასებს წერილის ავტორი ბინის დაქირავებასთან დაკავშირებულ ისტორიას?**

ა) როგორც მხიარულ თავგადასავალს.
ბ) როგორც უსიამოვნო ამბავს.
გ) როგორც ჩვეულებრივ შემთხვევას.

(1) **9. რას ურჩევს ნანა დათოს?**

ა) აეროპორტიდან დაქირავებულ ბინამდე ყოველთვის ტაქსით მივიდეს.
ბ) ბინის დაქირავებისას ყოველთვის უცხოური საიტებით ისარგებლოს.
გ) უცხოეთში ბინის დაქირავებისას ყოველთვის სიფრთხილე გამოიჩინოს.

III. წერა

(12) **10. გაუზიარეთ თქვენი მოგზაურობის შთაბეჭდილებები მეგობარს.**

მისწერეთ მას წერილი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- სად იმოგზაურეთ და რა ნახეთ;
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ;
- რას ურჩევთ მეგობარს, რომ გაითვალისწინოს მოგზაურობის დროს და რატომ.

ნაშრომის მოცულობა – 40-50 სიტყვა.

IV. ლაპარაკი

(6) **11. აღწერეთ თქვენი ერთი დღე** (რომელ საათზე დგებით, რას აკეთებთ სახლიდან გასვლამდე, რას საქმიანობთ დღის განმავლობაში, როგორ ატარებთ საღამოს...)

მოსაფიქრებლად გეძლევათ 1 წუთი.
საუბარი დაიწყეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ.
პასუხისათვის გეძლევათ 1 წუთი და 30 წამი.

B დონე

I. მოსმენა

ტექსტის მოსმენამდე წაიკითხეთ დავალება. ტექსტს მოისმენთ ორჯერ. პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

დავალების გასაცნობად გეძლევათ 30 წამი.

მოისმინეთ ჟურნალისტის, სტუდენტის, მშობლის, მძღოლისა და ენდოკრინოლოგის მოსაზრებები სწრაფი კვების შესახებ და გაარკვიეთ, ვინ რომელ მოსაზრებას გამოთქვამს.

(1) **1. სწრაფი კვების ობიექტიები უმეტესად სასწავლო დაწესებულებებთან გვხვდება.**
ა) ენდოკრინოლოგი.
ბ) მშობელი.
გ) ჟურნალისტი.
დ) სტუდენტი.

(1) **2. მთავარია საკვები იყოს გემრიელი და მზადდებოდეს სუფთა გარემოში.**
ა) ენდოკრინოლოგი.
ბ) მშობელი.
გ) მძღოლი.
დ) სტუდენტი.

(1) **3. ადამიანთა უმრავლესობა დამოკიდებულია „ფასტფუდზე“.**
ა) ენდოკრინოლოგი.
ბ) მშობელი.
გ) მძღოლი.
დ) სტუდენტი.

(1) **4. „ფასტფუდით“ სარგებლობა მოსახერხებელია, რადგან ასეთ ობიექტებში მომხმარებელს სწრაფად ემსახურებიან.**
ა) ენდოკრინოლოგი.
ბ) მშობელი.
გ) მძღოლი.
დ) სტუდენტი.

(1) **5. ჭარბი წონა, რომელსაც სწრაფი კვება იწვევს, სხვადასხვა დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს.**
ა) ენდოკრინოლოგი.
ბ) მშობელი.
გ) ჟურნალისტი.
დ) სტუდენტი.

II. კითხვა

წაიკითხეთ სტატიები და გაარკვიეთ, რომელ მოსაზრებას რომელი მსაჯი გამოთქვამს. *გაითვალისწინეთ, ერთსა და იმავე მსაჯს შეიძლება ორი მოსაზრება ეკუთვნოდეს.* პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა **X.**

ა) ფეხბურთის მსაჯი მზია შარაშენიძე

უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო მზია შარაშენიძე, როდესაც თბილისში ფეხბურთის სამსაჯო აკადემია გაიხსნა. მზია მაშინვე დარეგისტრირდა. „მახსოვს, ბავშვობაში თანატოლები სერიალებით რომ ერთობოდნენ, მე მამასთან ერთად ფეხბურთს ვუყურებდი. როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, ფეხბურთს დავუკავშირე ცხოვრება“, – იხსენებს მზია.

მისი აზრით, მსაჯისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ თამაშის წესების კარგი ცოდნა. ის ფიზიკურადაც ძლიერი უნდა იყოს, რადგან ხშირად ფეხბურთელზე მეტი სირბილი უწევს მოედანზე.

მზია შარაშენიძეს აკადემიის დამთავრებისთანავე მსაჯის წოდება მიანიჭეს, შვიდი წლის შემდეგ კი საერთაშორისო არბიტრის წოდებაზე წარადგინეს. 26 წლისა იყო, როდესაც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გახდა.

„მსაჯობა რთული პროფესიაა. თავიდან ძალიან ვღელავდი, მიჭირდა მოედანზე სიმშვიდის შენარჩუნება. ახლა, როგორც გამოცდილ მსაჯს მოეთხოვება, მშვიდად და აუღელვებლად ვასრულებ ჩემს მოვალეობას“, – ამბობს მზია შარაშენიძე.

ბ) კალათბურთის მსაჯი მაკა კუპატაძე

მაკა კუპატაძე 13 წლისა იყო, კალათბურთის თამაში რომ დაიწყო. იმ დროიდან კალათბურთი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჯერ ქუთაისის კალათბურთელ გოგონათა გუნდში თამაშობდა, მოგვიანებით კი მსაჯი გახდა.

როგორც მაკა აღნიშნავს, მსაჯებს დღეს საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. მაგალითად, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისათვის აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა.

„მსაჯი განსაკუთრებული კომუნიკაციის უნარით უნდა გამოირჩეოდეს, რათა შეეძლოს თამაშის დროს კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება. ეს თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს“, – ასე ფიქრობს უკვე 16 წლის სტაჟის მქონე მსაჯი.

საერთაშორისო მსაჯის ლიცენზიის მიღების შემდეგ მაკას სისტემატურად იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ შეჯიბრებებზე. მისი ყველაზე დიდი ოცნება ოლიმპიადაზე მსაჯობაა.

გ) რაგბის მსაჯი მარიამ გოგუაძე

მარიამ გოგუაძე 17 წლისა იყო, როდესაც რაგბით დაინტერესდა. თავიდან ოჯახის წევრებსა და ნაცნობებს არ მოსწონდათ მისი გადაწყვეტილება, რადგან რაგბი ქალისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ. თუმცა, მან მალე დაუმტკიცა ახლობლებს, რომ ცდებოდნენ და ბევრი გულშემატკივარიც გაიჩინა.

რამდენიმე წლის შემდეგ მარიამს თამაშის პარალელურად მსაჯობაც ანდეს. პირველი ნაბიჯები რთული იყო. „რაგბიში ბევრი წესია, საჭიროა ყველა მათგანის დამახსოვრება და ზუსტად დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც მოთამაშე დაგიჯერებს და არც გულშემატკივარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსაჯი ვერ მართავს თამაშს“, – ასე სწამს მარიამს.

ის დიდი მონდომებით მუშაობდა, გამოცდილი მსაჯებიც არ აკლებდნენ ყურადღებას და წარმატებამაც არ დაიგვიანა. დღეს მის გადაწყვეტილებებს ენდობიან და პატივს სცემენ. მარიამს სჯერა, რომ შრომა სათანადოდ დაუფასდება და მალე უმაღლესი ლიგის მსაჯი გახდება.

მოსაზრებები:

(1) **6.** მსაჯის პროფესია დიდ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს.
(1) **7.** საერთაშორისო მსაჯისათვის აუცილებელია უცხოური ენის ცოდნა.
(1) **8.** მსაჯმა ყველას ნდობა რომ მოიპოვოს, თამაშის წესები ზუსტად უნდა დაიცვას.
(1) **9.** მსაჯი ყოველთვის უნდა ახერხებდეს მოედანზე საკუთარი ემოციების მართვას.
(1) **10.** ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მშვიდ გარემოს ქმნის მსაჯი სათამაშო მოედანზე.

III. წერა

(15) **11. დღეს ბევრი სტუდენტი მუშაობს სწავლის პარალელურად.**

იმსჯელეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- რამდენად აქტუალურია ეს საკითხი;
- გამოკვეთეთ ამ საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

ნაშრომის მოცულობა – 100-120 სიტყვა.

IV. ლაპარაკი

(12) **12. სოციალური ქსელების გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე.**

იმსჯელეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- რა როლს ასრულებს სოციალური ქსელები საზოგადოების ცხოვრებაში;
- რამდენად ცვლის სოციალური ქსელები პირად ურთიერთობებს;
- რისთვის იყენებთ უფრო ხშირად სოციალურ ქსელებს.

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

მოსაფიქრებლად გეძლევათ 1 წუთი და 30 წამი.
საუბარი დაიწყეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ.
პასუხისათვის გეძლევათ 2 წუთი.

შეფასების სქემები და კრიტერიუმები

A დონე

I. მოსმენა

1. სწორია ---------- 1ქ.

ტრანსკრიპტი:

ძვირფასო მაყურებლებო!

სპექტაკლი მალე დაიწყება. გთხოვთ დაიკავოთ ადგილები!

2. ა) ---------- 1ქ.

ტრანსკრიპტი:

თეა: *რეზი, რომელი საათია? როგორ ფიქრობ, ამ სეანსზე შევძლებთ ბილეთის ყიდვას?*

რეზი: *კი, შევძლებთ. ახლა სამის ნახევარია, სეანსი კი 3-ზე იწყება.*

თეა: *შემდეგი ორი სეანსი 5-ზეა და 7-ზე.*

რეზი: *ჯობია ამ სეანსზე შევიდეთ, ფილმის შემდეგ კი კაფეში წავიდეთ.*

თეა: *კარგი აზრია.*

II. კითხვა

3. სწორია ---------- 1ქ.

4. სწორია ---------- 1ქ.

5. ბ) ---------- 1ქ. **6.** გ) ---------- 1ქ. **7.** გ) ---------- 1ქ. **8.** ბ) ---------- 1ქ. **9.** გ) ---------- 1ქ.

III. წერა

10. შეფასების კრიტერიუმები (12 ქულა)

I კრიტერიუმი

N	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**2**
2	დავალების პირობა ნაწილობრივ ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
3	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 - ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

N	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას, ტექსტის მონაკვეთები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	3
2	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, ტექსტის მონაკვეთები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილ ან ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას, ტექსტის მონაკვეთები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, მაგრამ აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	2
3	ნაშრომი უპასუხებს მხოლოდ ***ერთ*** მითითებას ან უპასუხებს ***ორ*** მითითებას, დარღვეულია ლოგიკური კავშირი ტექსტის მონაკვეთებს შორის *და* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
4	ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ უპასუხებს ***ერთ*** მითითებას.	0

III კრიტერიუმი

N	*დასაბუთება*	*ქულები*
1	თხრობა თანამიმდევრულია, არგუმენტები დამაჯერებელია.	3
2	თხრობა თანამიმდევრულია, თუმცა არგუმენტები არასაკმარისია.	2
3	თხრობა ძირითადად თანამიმდევრულია, თუმცა არგუმენტები მწირი და არადამაჯერებელია.	1
4	თხრობა არათანმიმდევრულია, დასაბუთებული არ არის.	0

IV კრიტერიუმი

N	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1	ნაშრომში აზრი ლექსიკურად ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** შესაბამისი სტილი.	2
2	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ლექსიკის არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევა და/ან ***ნაწილობრივ*** დარღვეულია სტილური ერთგვაროვნება.	1
3	თხზულება ლექსიკურად და სტილისტიკურად ***გაუმართავია.***	0

V კრიტერიუმი

N	*მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია*	*ქულები*
1	არ არის ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
2	არ არის ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
3	დაშვებულია ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0

IV. ლაპარაკი

11. შეფასების კრიტერიუმები (6)

I კრიტერიუმი

N	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება*	*ქულები*
1	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2	დავალების პირობა ნაწილობრივ ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 - ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

N	*შინაარსობრივი მხარე*	*ქულები*
1	თემის შესახებ ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე; პასუხი ამომწურავია.	3
2	თემის შესახებ ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე; პასუხი სქემატურია.	2
3	თემის შესახებ ლაპარაკობს გაუმართავი ფრაზებით, მოკლე, წყვეტილი წინადადებებით, პაუზებით; პასუხი ძალიან ზოგადია.	1
4	ლაპარაკობს გაუმართავად, აზრის გაგება ჭირს.	0

III კრიტერიუმი

N	*ტექსტის ენობრივი მხარე*	*ქულები*
1	აზრი ლექსიკურად ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, არის რამდენიმე ლექსიკური და გრამატიკული შეცდომა. შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1
2	საუბარი ლექსიკურად და გრამატიკულად ***გაუმართავია.*** შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას.	0

B დონე

I. მოსმენა

1. გ) ---------- 1ქ. **2**. დ) ---------- 1ქ. **3**. ბ) ---------- 1ქ. **4**. გ) ---------- 1ქ. **5**. ა) ---------- 1ქ.

ტრანსკრიპტი:

ჟურნალისტი: *მოგესალმებით, ძვირფასო რადიომსმენელებო! ეთერშია გადაცემა „ჯანმრთელობა“. დღეს სტუდიაში სტუმრებთან ერთად ვისაუბრებთ სწრაფ კვებასთან დაკაშირებულ პრობლემებზე.*

დამეთანხმებით, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში სწრაფი კვების უამრავი ობიექტი გაიხსნა, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტებთან, სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებასთან მუშაობს. მათ პროდუქციაზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება და, შესაბამისად, კომპანიების ქსელიც ფართოვდება. სწრაფ კვებას თავის მომხიბვლელობასთან ერთად აქვს არაერთი უარყოფითი მხარე. მომხმარებლების უმეტესობა ინფორმირებულია ამის თაობაზე, თუმცა ისინი უპირატესობას მაინც სწრაფ კვებას ანიჭებენ. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

სტუდენტი: *მე ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მარიამ სვანიძე და ხშირად გარეთ მიწევს ჭამა. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ეს ჯანმრთელობისთვის ცუდია, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს დროის დეფიციტის გამო. სიმართლე გითხრათ, დიდად არც კი ვინტერესდები საკვების შემადგენლობით, მთავარია, სუფთა გარემოში იყოს დამზადებული და კარგი გემო ჰქონდეს. სწრაფი კვება დროსაც გვიზოგავს და ბევრად იაფიც არის. აქ დღეში 6-7 ლარად შემიძლია ვისადილო, ამ თანხით სხვაგან ჯანსაღი პროდუქტებით მომზადებულ კერძს ვერანაირად ვერ ვიყიდი. ვფიქრობ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დიდი მოთხოვნაა სწრაფ კვებაზე, ე. წ. „ფასტფუდზე“.*

მშობელი: *მე, როგორც მშობელს, მსურს, რომ ჩემი შვილი მხოლოდ ჯანსაღ საკვებს იღებდეს, თუმცა ეს ყოველთვის არ გამოდის. ჩემი შვილი მოზარდია, მერვე კლასშია და სკოლაში წასვლამდე ყოველთვის ჯანსაღ საუზმეს ვუმზადებ, თუმცა ვერ ვაკონტროლებ იმას, თუ რას ჭამს ის გარეთ. სამაგიეროდ, ვცდილობ, რომ სახლში დაბრუნებულმა ვიტამინებით მდიდარი საკვები მიიღოს. კარგი იქნება, თუ სწრაფი კვების ობიექტების მომხმარებლები არ ვიქნებით, თუმცა ეს ლოკალური პრობლემა არ არის. იგი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია მთელ მსოფლიოში და ვერც ჩვენ ავუვლით გვერდს.*

მძღოლი: *მძღოლებმაც ვიცით, რომ სწრაფი კვების პროდუქტების ხშირად მიღება მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ისიც ვიცით, რომ ბევრი ცომეული, გაზიანი ტკბილი სასმელები და კარტოფილი ფრი იწვევს სიმსუქნეს, მაგრამ რა ვქნათ, დროის სიმცირისა და ჩვენი საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მოსახერხებელია მანქანის გაჩერება რომელიმე ასეთ ობიექტთან. აქ ყოველთვის სწრაფად გემსახურებიან, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სად გვაქვს იმაზე ფიქრის დრო, როგორი პროდუქტით არის დამზადებული ეს საკვები?! მთავარია, სული მოვითქვათ და გზა გავაგრძელოთ.*

ჟურნალისტი: *ჩვენს გადაცემაში მონაწილეობას იღებს ენდოკრინოლოგი, ბატონი რამაზ ყურაშვილი. ბატონო რამაზ, ძირითადად რომელი დაავადებების პროვოცირება შეუძლია სწრაფი კვების ობიექტებში სისტემატურ სტუმრობას და როგორ გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯანმრთელობას.*

ენდოკრინოლოგი: სწრაფი კვება ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას. თუმცა, უხარისხო პროდუქტებით მომზადებულ საკვებზე არანაკლებ მავნებელია პურ-ფუნთუშეულის შეუზღუდავად მიღება, რაც სიმსუქნეს იწვევს, ჭარბი წონა კი დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიური დაავადებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. ასევე ხშირია გასტრიტი და პირის ღრუს დაავადებები. ამიტომ სწრაფი კვების ობიექტში უმჯობესია შეუკვეთოთ პატარა ულუფა, ნაკლებად ტკბილი ჩაი, უცხიმო რძე, ახალი ხილის წვენი ან მინერალური წყალი; კარტოფილი-ფრის ნაცვლად შეუკვეთოთ ქათმის ხორცის სენდვიჩი, შემწვარის ნაცვლად – ორთქლზე მომზადებული ან წყალში მოხარშული საკვები; ხშირად ესტუმრეთ ისეთ კაფეს, სადაც ბოსტნეულის სალათების ფართო არჩევანია.

ჟურნალისტი: დიდი მადლობა სასარგებლო რჩევისთვის. ჩვენი გადაცემის დრო ამოიწურა. მადლობას ვუხდით ჩვენს სტუმრებს გადაცემაში მონაწილეობის მიღებისა და საინტერესო საუბრისათვის.

II. კითხვა

6. ა) ---------- 1ქ. **7**. ბ) ---------- 1ქ. **8**. გ) ---------- 1ქ. **9**. ა) ---------- 1ქ. **10**. ბ) ---------- 1ქ.

III. წერა

11. შეფასების კრიტერიუმები (15 ქულა)

I კრიტერიუმი

N	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**2**
2	დავალების პირობა ნაწილობრივ ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
3	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 - ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

N	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას, ტექსტის მონაკვეთები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**3**
2	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, ტექსტის მონაკვეთები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილ ან ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას, ტექსტის მონაკვეთები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, მაგრამ აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	**2**
3	ნაშრომი უპასუხებს მხოლოდ ***ერთ*** მითითებას, ან უპასუხებს ***ორ*** მითითებას, დარღვეულია ლოგიკური კავშირი ტექსტის მონაკვეთები შორის და აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	**1**
4	ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ უპასუხებს ***ერთ*** მითითებას.	**0**

III კრიტერიუმი

N	*დასაბუთება*	*ქულები*
1	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	**4**
2	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში არგუმენტი არადამაჯერებელია ან მოხმობილი მაგალითი შეუსაბამოა.	**3**
3	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული, ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია ან მოხმობილი მაგალითი ***არაადეკვატურია.***	**2**
4	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
5	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	**0**

IV კრიტერიუმი

N	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1	აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილური ერთგვაროვნება.	3
2	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***სათანდოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტიკური ხარვეზი.	2
3	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტიკური ხარვეზი ან გამოყენებულია ***არაადეკვატური*** ლექსიკა.	1
4	ნაშრომში სტილისტიკურად ***გაუმართავია,*** აზრი ***ბუნდოვანია.***	0

V კრიტერიუმი

N	*მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია*	*ქულები*
1	არ არის ***სამზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა. შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	3
2	არ არის ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა. შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	2
3	არ არის ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა. შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1
4	დაშვებულია ***ცხრა და მეტი*** ამ ტიპის შეცდომა. შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას.	0

IV. ლაპარაკი

12. შეფასების კრიტერიუმები (12 ქულა)

I კრიტერიუმი

N	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება*	*ქულები*
1	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2	დავალების პირობა ნაწილობრივ ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 - ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

N	*შინაარსობრივი მხარე*	*ქულები*
1	თემის შესახებ ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე; პასუხი დასაბუთებულია.	3
2	თემის შესახებ ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე; დასაბუთება ზოგჯერ არ არის დამაჯერებელი.	2
3	ლაპარაკობს გაუმართავი ფრაზებით, მოკლე, წყვეტილი წინადადებებით, პაუზებით; პასუხი არ არის დასაბუთებული.	1
4	ლაპარაკობს გაუმართავად, აზრის გაგება ჭირს.	0 - აღარ შეფასდება

III კრიტერიუმი

N	*ლექსიკა*	*ქულები*
1	აქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი.	3
2	აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი, თუმცა 1 ან 2 შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა შერჩეული.	2
3	აქვს ერთფეროვანი, მწირი ლექსიკა; ლექსიკური ერთეულები რამდენჯერმე არაადეკვატურად არის გამოყენებული.	1
4	ლექსიკა არაადეკვატურია, აზრის გაგება ჭირს.	0

IV კრიტერიუმი

N	*მორფოლოგია, სინტაქსი*	*ქულები*
1	იყენებს მრავალფეროვან გრამატიკულ კონსტრუქციებს; არ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს.	2
2	იყენებს მარტივ, ერთფეროვან გრამატიკულ კონსტრუქციებს; გრამატიკული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1
3	გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას.	0

V კრიტერიუმი

N	*წარმოთქმა*	*ქულები*
1	ბგერებს სწორად წარმოთქვამს, წარმოთქმის ხარვეზები უმნიშვნელოა.	2
2	ზოგიერთ ბგერას სწორად ვერ წარმოთქვამს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1
3	ბგერებს სწორად ვერ წარმოთქვამს, ნათქვამი ძირითადად გაუგებარია.	0

პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანის ინსტრუქცია

პასუხების მონიშვნისას:

- პასუხები თავდაპირველად შეგიძლიათ ჩაინიშნოთ შავი სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცლებზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე.
- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ კონკრეტული დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენ მიერ არჩეული პასუხი შესაბამის უჯრედში აღნიშნეთ **X**- ით.
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე უკვე მონიშნული პასუხების გადასწორება, მაშინ მთლიანად გააფერადეთ (გააშავეთ) ის უჯრედი, რომელშიც **X** ნიშანი დასვით და იმავე სვეტში მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით **X** ნიშანი ახალ უჯრედში). კომპიუტერული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ **X**-ნიშნიან უჯრედს აღიქვამს.

(იხ. ნიმუში).

პასუხების მონიშვნის ნიმუში:

	1.	2.	3.	4.	5.
სწორია:	☒	☒	☐	☒	☐
არასწორია:	☐	☐	☒	☐	☒

	6.	7.	8.	9.	10.
ა)	☐	☒	☐	☒	☐
ბ)	☒	☐	☐	☐	☐
გ)	☐	☐	☒	☐	☐
დ)	☐	☐	☐	☐	☒